საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 76-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-80 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ".

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 93^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავთ წინადადებით, რომ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის უმაღლეს საბჭოში განხილვა და მიღება მოხდეს გამარტივებული წესით – ერთი მოსმენით.

გთხოვთ, რეგლამენტის პროექტს მისცეთ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: 4 ფურცელი

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

ნინო ჩხეტია

დავით ბაციკაძე

№ 09-01-08/53
14. 12. 2017
5 ფურცელი

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (გაზეთი „აჭარა“, №57, 31.03.2005) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„თ) ამ რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევაში წყვეტს სხდომას, ცალკეულ შემთხვევებში აცხადებს შესვენებას;“.

2. 73-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. ფრაქციას უფლება აქვს, კენჭისყრის პროცედურის დაწყების წინ მოითხოვოს მხოლოდ ერთი შესვენება არა უმეტეს 10 წუთისა.“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე .

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2017 წლის
№

განმარტებითი ბარათი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი;

პროექტის მიღების მიზეზია, ერთის მხრივ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში არსებული სამართლებრივი ვაკუუმის შევსება. კერძოდ, მოქმედი რეგლამენტის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტი უმაღლესი საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს ანიჭებს უფლებას რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სხდომაზე გამოაცხადოს შესვენება. უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი შესვენების გამოცხადებას კი მხოლოდ პლენარული სხდომის დღის 14 საათიდან 16 საათამდე ან/და კენჭისყრის წინ ითვალისწინებს. ამიტომ მიზანშეწონილია სხდომის თავმჯდომარეს შესვენების გამოცხადების უფლება ჰქონდეს ცალკეულ შემთხვევებშიც.

მეორეს მხრივ, პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს რეგლამენტის 73-ე მუხლის მე-6 პუნქტი. კერძოდ, აღნიშნული ნორმა კენჭისყრის წინ 10 წუთიანი შესვენების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს ფრაქციებს (და არა ფრაქციას). შესაბამისად მიზანშეწონილია აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორებაც, ვინაიდან აღნიშნულმა არ შექმნას მისი გამოყენების პროცესში გარკვეული სამართლებრივი უხერხულობები.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი;

პროექტის მიზანია, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში არსებული სამართლებრივი ვაკუუმის შევსება და ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი;

წარმოდგენილი პროექტით, რეგლამენტის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარეს ექნება უფლება რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეწყვიტოს სხდომა, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში გამოაცხადოს შესვენება.

73-ე მუხლის მე-6 პუნქტში შესატანი ცვლილებით კენჭისყრის პროცედურის დაწყების წინ მხოლოდ ერთი არა უმეტეს 10 წუთიანი შესვენების მოთხოვნის უფლება ექნება ფრაქციას.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში;

აღნიშნული რეგლამენტის პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ;

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია და დავით ბაციკაძე.

ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია და დავით ბაციკაძე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტით შედის ცვლილება, მათ შორის ხდება ამოღება

მუხლი 69

1. უმაღლესი საბჭოს სხდომებს, როგორც წესი, წარმართავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. თუ იგი არ წარმართავს სხდომას, სხდომის თავმჯდომარეობა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ზეპირი ან წერილობითი ბრძანებით დაევალება მის მოადგილეს. თუ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე არ წარმართავს სხდომას, სხდომის თავმჯდომარეობა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაევალება უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარეს.

2. სხდომის თავმჯდომარე:

ა) აუწყებს უმაღლეს საბჭოს სხდომის გახსნასა და დამთავრებას;

ბ) უძღვება საკითხის განხილვას;

გ) უზრუნველყოფს ამ რეგლამენტის დაცვას;

დ) ადგენს კამათში მონაწილეთა რიგითობას და სიტყვას აძლევს მათ;

ე) კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

ვ) ხელს აწერს სხდომაზე მიღებულ საოქმო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებს;

ზ) ამ რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სიტყვას ჩამოართმევს გამომსვლელს, აფრთხილებს, სხდომათა დარბაზს ატოვებინებს უმაღლესი საბჭოს წევრს და მოწვეულ სტუმარს.

თ) ამ რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეწყვეტს სხდომას ან აცხადებს შესვენებას;

ი) კანონპროექტის განხილვისას საჭიროების შემთხვევაში კენჭს უყრის საკითხს კამათის შეწყვეტისა და მხარეთა მონაწილეობით საკონსულტაციო შეხვედრის შესახებ;

კ) ახორციელებს ამ რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 73

1. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კენჭისყრა არის ღია (ხელის აწევა და სიის ამოკითხვა-სახელობითი კენჭისყრა) ან ფარული (ბიულეტენებით).

2. თუ სხდომამ სხვა გადაწყვეტილება არ მიიღო, საკადრო საკითხებზე კენჭისყრა ტარდება ბიულეტენებით.

3. ყოველი კენჭისყრის წინ პლენარული სხდომის თავმჯდომარე აცხადებს კენჭისყრის ფორმას, რაც საჭიროების შემთხვევაში დასტურდება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

4. უმაღლესი საბჭოს წევრი კენჭისყრის დროს თავის ნებას გამოხატავს, როგორც მომხრე ან წინააღმდეგი.

5. კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისას იკრძალება უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება.

6. ფრაქციებს უფლება აქვთ კენჭისყრის წინ მოითხოვონ მხოლოდ ერთი 10-წუთიანი შესვენება.